სარჩევი

რა არის ახალი მარდიში 2

დეშბორდი აპლიკაციაში 2

ნაშთის არ ქონის შემთხვევაში შეკვეთის გაფორმების შესაძლებლობა აპლიკაციიდან 5

გასწორებული შეცდომები 6

სხვა მოდიფიკაციები 7

ბალანსის რელიზი_1.3.10.8

16.04.2025

რა არის ახალი მარდიში

(მარდის რელიზი-1.3.19/1.4.0)

დეშბორდი აპლიკაციაში



აპლიკაციაში დაემატა დეშბორდი, სადაც შესაძლებელია სავჭრო წარმომადგენელმა მარდიში ნახოს გარკვეული რეპორტები, რომლის საშუალებითაც დღის ნებისმიერ მონაკვეთში ექნება ინფორმაცია მიმდინარე პროცესების შესახებ. დეშბორდის ნახვა შესაძლებელია საიდ მენიუში.

აპლიკაციაში გვაქვს შემდეგი რეპორტები: გაყიდვების თვის გეგმა, გაყიდვების თვის გეგმა (დეტალური), სულ გაყიდვები (რაოდენობრივი), სულ გაყიდვები (თანხობრივი), სულ გაყიდვები ნომენკლატურის მიხედვით, სულ გაყიდვები მყიდველების მიხედვით, მყიდველების დავალიანების რეპორტი, მყიდველების დავალიანებები, ნაღდი ფული სალაროში, გადახდები მყიდველების მიხედვით.

დეშბორდზე გადასვლისას თავდაპირველად არ ჩანს რეპორტები, მათი დამატება უნდა მოხდეს სურვილის შესაბამისად. პლიუს ღილაკზე დაჭერით შესაძლებელია რეპორტების ჩამონათვალზე გადასვლა. ჩამონათვალიდანაც ბარათის დამატება ხდება პლიუს ღილაკით.



თუ ყველა ბარათი დამატებულია დეშბორდზე, ამ შემთხვევაში ბარათებზე გადასვლისას დაგვიწერს „ თქვენ არ გაქვთ მეტი ბარათი, ყველა ბარათი აქტიურია“. დეშბორდზე შესაძლებელია ბარათების სურვილისამებრ დალაგება, მასზე დიდხანს დაჭერით შეგვიძლია კონკრეტული რეპორტი ზევით ავწიოთ ან ქვევით ჩამოვწიოთ. ბარათის წაშლა შესაძლებელია მარჯვნივ X ღილაკზე დაჭერით.

დეშბორდზე გვაქვს პერიოდის ასარჩევი ველი. არის როგორც ფიქსირებული პერიოდის არჩევანი, ასევე თვითმართვადი პერიოდიც. გაყიდვების გეგმის ორივე რეპორტის ინფორმაციის დასანახად აუცილებელია რომ გამოყენებული იყოს პერიოდში „დღეს“, „გუშინ“, „მიმდინარე თვე“ და „წინა თვე“. სხვა პერიოდის არჩევისას ზემოთ ნახსენებ ორ რეპორტზე გამოვა ინფორმაციული შეტყობინება ამის შესახებ.

სამ რეპორტში - სულ გაყიდვები ნომენკლატურის მიხედვით, სულ გაყიდვები მყიდველების მიხედვით, მყიდველების დავალიანების რეპორტი, გვაქვს ნომენკლატურისა და მყიდველის ასარჩევი ფილტრები. ორივე მნიშვნელობა გადის კონკრეტულად იმ სავაჭრო წარმომადგენლის პროდუქციასა და მყიდველებზე, რომელიც მას ეკუთვნის.

ბარათებზე ჩანს პირველი ხუთი მნიშვნელობა, თუმცა შესაძლებელია „ნახე მეტი“ ღილაკზე დაჭერის შედეგად დავინახოთ სრული ინფორმაცია სხვა მყიდველებსა და სხვა ნომენკლატურებზე.

დეშბორდის აწყობის შემდეგ ეს ინფორმაცია ინახება და აპლიკაციაში ხელახლა შესვლისას არ საჭიროებს თავიდან აწყობას.





ნაშთის არ ქონის შემთხვევაში შეკვეთის გაფორმების შესაძლებლობა აპლიკაციიდან

როდესაც ბალანსში ჩართულია ნაშთების კონტროლის კონსტანტა, ამ დროს დისტრიბუციის აწყობებში ადმინისტრირებაში ჩნდება ახალი კონსტანტა - „ნაშთების კონტროლი შეკვეთაში“. ეს კონსტანტა ავტომატურად გააქტიურებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ პროდუქციის ნაშთი არ გამინუსდება და აპლიკაციაშიც გაკონტროლდება ნაშთები. თუ კომპანიას აქვს ნაშთები კონტროლის ფუნქციონალი და სურს მხოლოდ აპლიკაციიდან მოხდეს შეკვეთების გაფორმება გამინუსების მიუხედავად, უნდა მოხდეს ამ კონსტანტის გათიშვა და აპლიკაციაში აღარ გაკონტროლდება შეკვეთის გაფორმებისას ნაშთები.



გასწორებული ხარვეზები:

- სავაჭრო წარმომადგენელზე ბორტსა და ძირითად საწყობზე ერთი და იგივე საწყობის შევსებისას აპლიკაციაში ნაშთების გადატვირთვა (1.3.19)

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია ამონაწერის ჩატვირთვით შექმნილ დოკუმენტებში მომსახურების სახის შევსების ხარვეზი
- გასწორებულია შეზღუდული მომხმარებლის მიერ განაცხადი უკან დაბრუნების დოკუმენტზე რეკვიზიტების ცვლილების შესაძლებლობა
- გასწორებულია გადამზიდავთან გადაგზავნილი ზედნადების კორექტირების ხარვეზი
- გასწორებულია უკან დაბრუნების დამხმარედან შექმნილ რეალიზაციის კორექტირებაში ფილიალის შევსების ხარვეზი, როდესაც ფილიალებით აღრიცხვა გამორთულია
- გასწორებულია მომსახურების სახის გამოჩენის ხარვეზი, როდესაც ხელშეკრულებებით აღრიცხვა გამორთულია
- გასწორებულია გეგმიური დარიცხვების დამუშავებიდან ერთი და იგივე კონტრაგენტზე/ხელშეკრულებაზე ერთი და იგივე თარიღში სხვადასხვა ნომენკლატურაზე შექმნილი დოკუმენტების აღქმის ხარვეზი
- გასწორებულია ბუღალტრული ოპერაციით მომწოდებელზე თანხის უკან დაბრუნების დანართ „ე“-ში ასახვის ხარვეზი
- გასწორებულია ხელფასის უკან დაბრუნების ხელფასის გაცემა და დაკავების რეპორტში ასახვის ხარვეზი
- გასწორებულია ქაღალდის ანგარიშ-ფაქტურაზე ჩათვლის თვის მითითების ხარვეზი
- გასწორებულია დამატებითი ხარჯების მექანიკურად განაწილების ხარვეზი, როდესაც შესყიდვაში ერთი ნომენკლატურაზე რამდენჯერმეა ჩაწერილი
- გასწორებულია პროდუქციის გამოშვება და რეალიზაციის დოკუმენტში ერთიდაიგივე პროდუქციის სხვადასხვა სერიაზე დოკუმენტის ვერ გატარების ხარვეზი
- გასწორებულია გაცემული ზედნადებების ჩამოტვირთვისას შექმნილ დოკუმენტში მყიდველის ხელშეკრულების შევსების ხარვეზი, როდესაც მყიდველზე არ არის მონიშნული ხელშეკრულებებით აღრიცხვა

სხვა მოდიფიკაციები

- დაიხვეწა მრავალდონიანი ავტორიზაციის ფუნქციონალი
- შესაძლებელი გახდა უკან დაბრუნების დამხმარეში სატრანსპორტო საშუალების შევსება განაცხადზე მითითებული ექსპედიტორიდან
- განახლდა კრედო ბანკთან ინტეგრაციაში ავტორიზაციის მექანიზმი
- ელემენტების ვებ-სერვისებით შექმნისას დაემატა ახალი შეცდომის კოდების